საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იბნ ალ-მარისთანია

იბნ ალ-მარისთანია, უბაიდ ალ-ლაჰ იბნ ალი იბნ ნასრ (1145/46– 11. IX. 1203 (დაბა ჯურხაბანდი, ნახიჩევანის მახლობლად), არაბი მეცნიერი, მუჰადდისი, ისტორიკოსი, ასტროლოგი და ექიმი. მოღვაწეობდა აბასიანთა სახალიფოში. ბაღდადში ააშენა „ცოდნის სახლი" წიგნთსაცავითურთ.

1202 ოქტ.-ნოემბერში ხალიფა ან-ნასირის ბრძანებით ელჩად გაიგზავნა თბილისში, თამარის კარზე მასთან ერთად საქართველოში დაბრუნდა ან-ნასირთან მყოფი ქართველთა ელჩიც. ი. ალ-მ. გამოემგზავრა ბაღდადიდან – ვაზირის სასახლიდან მთელი ცერემონიალის დაცვით. მას უბოძეს შავი ხალათი და ტაილასანი (თავსაბური), შეკაზმული ცხენი და ხმალი. ხალიფამ თამართან გაატანა ეპისტოლე, რ-ის შინაარსი უცნობია. თბილისში თავისი დავალების შესრულების შემდეგ ი. ალ-მ აზერბაიჯანში გაემგზავრა გარდაიცვალა გზაში ნახიჩევანის მახლობლად.

ლიტ.: ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ე., იაკუთის ლექსიკონის ერთი ცნობის შესახებ, «სემიტოლოგიური ძიებანი», III, თბ., 1987.

ე. სიხარულიძე